ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №118

2016 წლის 29 ივლისი

ქ.ქობულეთი

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" შექმნის შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №94 და ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №128 განკარგულებების და ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კანონის ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" შესახებ მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" შექმნის შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №94 და ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №128 განკარგულებები.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე